# თავისუფალი საქართველო

№15
30 აპრილი - 6 მაისი
1996 წ.
ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


ეროვნული ბიბლიოთეკა

## რედაქტორის სვეტი

მთელი ომისშემდგომი პერიოდი. 50
ლი, მსოფლიომ მოანდომა მშვიდობიანი
არსებობისთვის ფუძეპრინციპების შე-
შავებას. უზარმაზარი დრო, ენერგია,
ხსრები დაიხარჯა ვენის, პარიზის, ჰე-
სინკის, მადრიდის, პრაღის ხელშეკ-
ულებათა, ქარტიათა, კონვენციების მომ-
დებაზე, შეთანხმებაზე და ხელმოწე-
აზე.

დიდად დემოკრატიული დასავლეთი
აუღალავად ზრუნავდა, რათა მისი მოღ-
წეობის ეს შედეგი საყოველთაო გამხ-
არიყო.

ჩვენ, ტოტალიტარულ სახელმწიფოში
ზრდილი მოდისიდენტო მონები, თავს
რთობდით იმედით დემოკრატიული მსოფ-
იოს ჰუმანური მისწრაფებების უძლევე-
ობის შესახებ და მოთმინებით ველო-
ით ჟამს, როცა ჩვენთვისაც შესაძ-
ებელი გახდებოდა თავისუფლების საყ-
ველთაო ზეიმში ჩაბმა.

...ჩავებით. საქართველოში განხორ-
იელდა ხავერდოვანი კი არა, აბრეშუ-
ით ნაფენი უფაქიზესი რევოლუცია, რო-
ელმაც საფუძველი ჩაუყარა კიდევ ერ-
ო დიდ ოცნებას მთელი კავკასიის თა-
ისუფლებაზე.

უზარმაზარი აღფრთოვანებით აღბეჭ-
ილი ეს მოკლე პერიოდი, სამყაროებ-
ივი ბოროტების მხილების უსასტიკეს
ოქად იქცა. სულ მცირე ხანში შე-
ძრწუნებელი სიცხადით გამომჟღავნდა
ლევანდელი მსოფლიოს უკიდეგანო ყვე-
ა მანკიერი ტენდენცია. გაივლის წლე-
. და საქართველო უსაფუძვლოდ შეა-
ასებს იმ ბედნიერი დროის პრწყინვალე
დიადეს.

მანამდე კი, ჩვენ სასტიკი რეალო-
ისთვის მოგვიწევს თვალის გასწორება:
ავკასიაში ერთმანეთის მიყოლებით მოკ-
ეს ყველა აღიარებული წესისა და
ეთანხმებით გათვალისწინებული პრინც-
პით არჩეული ორი პრეზიდენტი. რო-
ელთა გამორჩეული ღირსება, კეთილ-
ობილება, ვაჟკაცობა, ნიჭიერება, სულ-
რძლიერება თაობებს გაათბებს. მოკლეს
თელი მსოფლიოს თვალწინ, ამავე მსოფ-
იოს თანხმობითა და წაქეზებით. მოკ-
ეს ასე ფარისევლურად დეკლარირებული დე-
ოკრატიული და ჰუმანისტური ღირე-
ულებების კავკასიაში განხორციელების
ა დამკვიდრების მცდელობისთვის.

ორი თავგანწირული პრეზიდენტის მკვლე-
ობამ ბუნებრივად დაუსვა წერტილი
უქი ილუზიების და ოცნებების მაცდურ
ეალობას.

კავკასიამ პატარა ბავშვის ხელის-
ულზე გადაშლილი დედამიწის სიმართლით
ახსნა ლევანდელობის ყველა საიდუმ-
ო და იმ პროცესს დაუდო საფუძველი,
აიდანაც ცრუ ღირებულებების და ყალ-
ი ფასეულობების უპირობო ნგრევა უნ-
ა დაიწყოს.

ეს პროცესი ისევე გარდაუვალია, რო-
ორც ჟამთაცვლა.

კავკასია, სამყაროს ყველა საიდუმ-
ოს მარადიული მფლობელი, მომავალი
არტეხილებისთვის იმაგრებს ფეხვებს.

მერაბის, ზვიადის, ჯოხარის საფლა-
ები უმკვიდრეს საძირკვლად ეგება ნა-
ცნებარი თავისუფლების სპეტაკ მწვე-
ვალებს.

კავკასია, ჩვენი სამშობლო, იმედის
ვალით გასცქერის მომავალს, რადგან
ურყეველია საფუძველი, რომელზეც მი-
სიმაღლეები მკვიდრობს.



გასრულდა კავკასიის დიდი შვილის - ჯოხარ დუდაევის სიცოცხლე. მარადისობას შეუერთდა სული კაცისა, რომლის სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა ბოროტებასთან, უზნეობასთან ბრძოლას თავისი სამშობლოს გადასარჩენად.

სისასტიკითა და დაუნდობლობით სავსე ჩვენს სამყაროში, ამ სამყაროს გამგებელთათვის, ჯოხარ დუდაევის სიცოცხლე ისევე როგორც სიცოცხლე ზვიად გამსახურდიასი, იყო სრულიად აუტანელი და შეუთავსებელი.

ადამიანთა სისხლსა და ძვლებზე ერების სასაფლაოებზე აშენებულ "ახალ მსოფლიოში", სადაც ბოროტებას სიკეთე ჰქვია, სიმახინჯეს - სილამაზე, სამშობლოსთვის თავგანწირულ ადამიანს - დიქტატორი და მტარვალი, ხოლო წინა თაობებზე ჩამოყუნცებულ მონას - პრაგმატულად მოაზროვნე პოლიტიკოსი, ზნემაღალი ადამიანის ადგილი აღარ რჩება. ყველამ უნდა გაიზიაროს საყოველთაოდ "აღიარებული" შეხედულებები.

... და თუ ვერ მოხერხდება რომელიმე "ურჩის" დამორჩილება, უნდა მოჰკლა, რადგან თვით არსებობა ასეთი ადამიანებისა, არის მხილება მსოფლიო წესრიგად წოდებული სიბინძურისა.

სწორედ ამ წყვდიადთან და უღმერთობასთან გამართულ უთანასწორო ბრძოლაში დაეცა ჯოხარ დუდაევი.

და როდესაც ფიქრობ, როგორ დაენარცხა მიწას ავეთქების ტალღისგან გასროლილი მისი სხეული, დაფიქრდები იმაზეც, რომ მართლაც წუთისა ყოფილა ეს მუხთალი სოფელი...

მაგრამ რამდენი რამ დაიტია ამ წუთმა...

"ღმერთო, რა დიდი ბრალია
სიკვდილი კაი ყმისა."

# კავკასიის მარადიული დაუმორჩილებლობის სიმბოლო

23 აპრილს მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა ჩეჩნეთის პრეზიდენტის, კავკასიის ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ჯოხარ დუდაევის დაღუპვის შესახებ. ინფორმაცია არაერთგვაროვანი იყო. მსოფლიო მეტროპოლიას გაუჩნდა იმედი ჩეჩნეთის ომის "წარმატებით" დამთავრებისა, თუმცა, ფართო საზოგადოებრიობისთვის, მომხდარი ფაქტი და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დეტალები კვლავ საიდუმლოებით მოცული დარჩა.

კავკასიის კიდევ ერთი ლიდერის მომავალი ტაბუდადებული აღმოჩნდა და მისი განსაზღვრა თავისუფლებისთვის მებრძოლი კავკასიელი ხალხისთვის მხოლოდ პირადი რწმენის, ინტუიციისა და ვარაუდის მეშვეობით გახდა შესაძლებელი. სამაგიეროდ, ჯოხარ დუდაევი კავკასიის დაუმორჩილებლობის მარადიულ სიმბოლოდ იქცა, დატოვა ჩეჩნეთის მთიანი ხეობების საიდუმლო თავშესაფარი და, მთელს კავკასიაში გაფენილი და გაძლიერებული, უფრო ლეგალურად ამოქმედდა. ასე იქცა ჩეჩნების პარტიზანული ბრძოლები ღვთაებრივ ომად კოსმიურ ბოროტებასთან, ჩეჩენი ხალხის სტატისტიკად ქცეული მსხვერპლი - წმიდა შესაწირად, ხოლო ის ჩეჩენი ვაჟკაცები, რომლებმაც უსამართლო სამყაროში საკუთარ თავზე აიღეს სამართლიანობის აღდგენის მთელი სიმძიმე და პასუხისმგებლობა, ჰეროიკულ გმირებად.

მსოფლიო საზოგადოებრიობა ჩვეული გულგრილობით შეხვდა მომხდარ მოვლენას. მათთვის ჩეჩნეთში სარაკეტო დაბომბვით დატრიალებული ტრაგედია ინგლისში დაავადებული ძროხების სიკვდილიანობის ფაქტზე ნაკლებად გულისამაჩუყებელი გამოდგა. დასავლეთმა, თავისი შემაძრწუნებელი დუმილით, თითქოს კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ რუსეთის მიერ ჩადენილი ყველა ბოროტება თუ სისასტიკე მათგან და მათი მთავრობებისგანაა ნებადართული.

ჯოხარ დუდაევი დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს, ამიტომ საჭიროა მისი დამორჩილება ან იზოლაცია, წარუმატებლობის შემთხვევაში კი ლიკვიდაცია. შესაბამისად, კავკასიელი პრეზიდენტის სარაკეტო დაბომბვის ამბავმა არა თუ შეძრა მსოფლიო, არამედ ჩვეული გულგრილობით ჩაიარა. ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი და განსაზღვრული იყო იმ ახალი ტიპის ავიაგამანადგურებლების ჩათვლით, რომელიც ჩეჩნეთის ომში გამოცდილ რუსეთს სახელდახელოდ მიაშველეს. არაფერს ვიტყვით საგანგებოდ შემუშავებულ ინსტრუქციაზე, რომლის არსიც მოსკოვში ჩამოსულმა ამერიკის პრეზიდენტმა სულ რამოდენიმე უხეში სიტყვით გამოხატა.

დასავლეთი ვერ აცნობიერებს, რომ კავკასიაში ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტები არც საერთაშორისო ბინძური გარიგებების შედეგად მოდიან სახელმწიფოს სათავეში და არც ვინმე ძლიერი ფინანსური მხარდამჭერის წყალობით. ისინი საკუთარი ქვეყნის წიაღში იზრდებიან და უდიდესი თავგანწირვის ფასად ეზიარებიან მთელი ერის თანადგომასა და სიყვარულს. რასაკვირველია, ეს არ ეხება იმ "ლიდერებს", რომლებიც კავკასიაში რუსული ტანკებისა და დასავლური "დემოკრატიის" ძალადური მხარდაჭერით ჩამოვიდნენ და რომელთა მეშვეობით საქართველო, ნაწილობრივ მაინც, ხდება იმ სისასტიკის თანამონაწილე, რომელიც მიმართულია მთელი კავკასიის მომავლის მოსასპობად.

ჩვეული ფარისევლობით, ედუარდ შევარდნაძე კომენტარს უკეთებს ჯოხარ დუდაევის მკვლელობის ფაქტს. აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა კაცის სიკვდილი ტრაგედიაა, თუმცა, მთელი გულმოდგინებით მხარს უჭერს იმპერიის პოლიტიკას კავკასიაში და მისივე მითითებით ცდილობს დაამკვიდროს "ახალი კავკასიური სახლის" კონიუნქტურული იდეა, რომლის განხორციელების პრეტენზიაც ცნობილ პოლიტიკოსს, თურმე, უკვე კარგა ხანია გაუჩნდა.

ერთი შეხედვით, იმპერიამ თითქოს გადაჭრა მთავარი პრობლემა - კავკასიის ეროვნულ მოძრაობას ჩამოაშორა ლიდერები. ახლა აღელვებული ხალხის დამშვიდებაა საჭირო და ყველაფერი რიგზე იქნება. მაგრამ ომი ჩეჩნეთში არ წყდება და ჩეჩენი ხალხიც მზადაა უფრო დიადი თავგანწირვისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ არაფერი შეცვლილა და არც მოგვარებულა, პირიქით, მოვლენები უფრო მძაფრი და ამოუცნობი გახდა.

კავკასიის მრავალსაუკუნოვან ისტორიას მისთვის თავდადებულ გმირთა ერთი საკრალური თვისება უმშვენიერესი ყვავილივით ამკობს, რომელიც სუსხიანი ჟამის მოლოდინში თვალთაგან უჩინარი ხდება და სიმბოლოდ იქცევა ხოლმე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განახლებული ენერგიით გაცხადდება და თან მოიტანს ახალ იმპულსებს და გამარჯვების განუმეორებელ სიხარულს.

*ქეთევან ქურდოვანიძე*

# გაუმარჯოს კავკასიას, გაუმარჯოს საქართველოს

## გმირ ჩეჩენ ხალხს

თანამოძმენო!

რუს დამპყრობელთან ბრძოლაში გმირულად დაეცა ჩეჩენი ხალხის ღირსეული შვილი, კავკასიის გმირი, ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას პირველი პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი.

იმპერიამ ჩაიდინა კიდევ ერთი საშინელი დანაშაული, ჩვეული მზაკვრობითა და სისასტიკით განხორციელებული კიდევ ერთი პოლიტიკური მკვლელობა.

თავისუფლებისთვის ბრძოლაში ერთიანი ჩეჩენი და ქართველი ხალხის ბედი კიდევ ერთხელ უცნაურად გადაიკვეთა ამ სიკვდილით, რომელსაც მარადიული დიდების სხივი მოსავს.

მდაბლად ვიხრით თავს თავისუფლებისთვის მებრძოლი პრეზიდენტის, უშიშარი მეომრისა და ბრძენი პოლიტიკოსის წინაშე და ვუცხადებთ ჩვენს თანადგომას ჩეჩენ ხალხს, რომელშიც განსხეულდა კავკასიის დაუმორჩილებელი, მებრძოლი სული.

*საქართველოს ჰელსინკის კავშირი*

# ომი გრძელდება, თუმც ამბობენ - მშვიდობაა, მშვიდობა...

**ჩვენს გარშემო მძვინვარებს სასტიკი რეალობა, რომელსაც არ ვიღებთ, მაგრამ რომელიც უცილობლად დაგვამარცხებს, თუ მას თვალი არ გავუსწორეთ**

საარტილერიო ცეცხლით გადამწვარმა ჩეჩნეთის მიწამ მიიბარა თავისუფლებისთვის მებრძოლ პატრიარქთაგან უკანასკნელი - მეამბოხე გენერალი და თავისი ხალხის მორჩილი პრეზიდენტი.

კავკასიური წრე იკვრება. მთავრდება ეპოქა დიადი და ტრაგიკული, ეპოქა ხალხის სიყვარულითა და მოშურნეთა სიძულვილით გარემოცულ რჩეულთა. კვლავ იწყება ხანა უფერულ ავაზაკთა და უსახურ მაცდურთა. მაგრამ ომი არ დამთავრებულა, თუმც კი ამბობენ - მშვიდობაა, მშვიდობა. ომი გრძელდება და ჩვენზეა დამოკიდებული, რას ავირჩევთ - ბრძოლას თუ შეგუებას.

* * *

დრომ მოიტანა და საქართველოში დამკვიდრებული რეჟიმი თანდათან ხვეწავს თავის ფასადს: იარაღიანი ბანდიტები შეცვალა დახავსებულმა ნომენკლატურამ, თავისი ზედნაშენი ინტელიგენციით. მაგრამ ეს დღეს. ხვალისთვის კი მზადდება და უკვე ქმედებაშია ახალი ცვლა რეალისტ-პრაქტიკოსებისა, რომლებიც რჩეულთა ნაღვაწითაც ისარგებლებენ და მაცდურთა მანქანებითაც. ეს უკვე იქნება არა უძრაობა, არამედ მოძრაობა და თანაც უაღრესად აქტიური, თანმიმდევრული, გათვლილი.

საქართველოში მკვიდრდება ახალი მაფია - აღჭურვილი თანამედროვე სამართლებრივ, საბანკო და ინფორმაციულ სისტემებზე გასვლის, მათი მეშვეობით მანიპულირების უფლებით. მაფია ახალგაზრდა, ენერგიული, რომელსაც არ სჭირდება არც იდეოლოგია, არც უხეში ძალა, ვინაიდან თავად წარმოადგენს ფსევდოდემოკრატიული ტოტალიტარიზმის სისტემას.

ამ მაფიის მოქმედების პრინციპი თითქმის ან სრულიად ლეგალურია. მას არაფერი აქვს დასამალი, ვინაიდან მისი ფუძემდებლური კონცეფციის მიხედვით, ძარცვისა და გამდიდრების მექანიზმი სახელმწიფოებრივი სარგებლიანობისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის გარანტიას წარმოადგენს. ცხადია, იგი ვერ დაამკვიდრებს ქვეყანაში ვერც ერთს და ვერც მეორეს, მაგრამ შექმნის ილუზიას ამ იდეალისკენ სწრაფვისა და მისი მიღწევადობის. ოღონდ, თავისი კომუნისტი წინამორბედებისგან განსხვავებით, გააკეთებს ამას არა ერთპარტიული იდეოლოგიით საზოგადოებრივი ნების დათრგუნვით, არამედ ალტერნატივის ილუზორული სიმრავლით, იდეოლოგიური კაკოფონიით, ურთიერგამომრიცხავ, ყალბ ფასეულობათა აღრევით.

* * *

რით ხვდება და რას უპირისპირებს ამ ახალ ტოტალიტარიზმს საქართველოს ქრისტიანულობაზე პრეტენზიის მქონე პოლიტიკური სპექტრი? ხედავს კი იმ რეალურ საფრთხეს, რომელიც თან ახლავს მის დამკვიდრებას? და თუ ხედავს, რასა იქმს? ხოლო თუ იქმს რაიმეს, სად ჩანს ეს ძალისხმევა - ნეტარის მჭვრეტელურ პოზაში, ერთიანობისთვის ლოცვის სრულაში თუ, საკუთარი მესიის სიდიადით შთაგონებულ პოლიტიკოსთა მიერ რელიგიად შერაცხულ მათემატიკურ თეორიაში - გაყოფა უდრის ერთიანობას?

ჩვენს გარშემო მძვინვარებს სასტიკი რეალობა, რომელსაც არ ვიღებთ, მაგრამ ვერც თვალს ვუსწორებთ, რადგანაც ისევე ვუფრთხით პასუხისმგებლობას, როგორც მაცდური - სიმართლეს. ვეკედლებით ილუზიებს, რომლებიც ისევე მავნებლობს, როგორც შემზარავი რეალობა. ჩვენი უმოქმედობისა და უუნარობის გასამართლებლად ვიგონებთ თეორიებს თავისთავად მოვლენილი გამარჯვების შესახებ და ვერც კი ვამჩნევთ, რომ ამით უარვყოფთ თავისუფლებისთვის ბრძოლის იდეას, თავად ჩვენს საზრისსა და მრწამსს. ჩვენ ველით რჩეულს, რათა კვლავ მან, ერთმა, იტვირთოს ყოველ ჩვენგანზე დაკისრებული პასუხისმგებლობა.

ჩვენ კვლავ ძილქუში გვითრევს, ამჯერად ძილქუში ჩვენს მიერ გადატანილი ტანჯვითა და გაღებული მსხვერპლით ტკბობისა. მაცდური კი მავნებლობს და მან ჩვენზე უკეთ იცის, როგორ შექმნას მისთვის სასურველი სამყარო. ჩვენ არ ვიღებთ მის კანონებს, მის მიერ დამკვიდრებულ რეალობას, მაგრამ აღარც ვებრძვით მას და ამიტომ, ნებსით თუ უნებლიედ, ადრე თუ გვიან, ვემორჩილებით მის დინებას. "დინებას კი მხოლოდ მკვდარი თევზები და დახოცილ ნადირთა ლეში მიჰყვება".

*ანა ჭავჭავაძე*

უზენაეს სასამართლოში 22 აპრილს გაგრძელდა ბადრი ზარანდიასა და სხვათა სასამართლო პროცესი. ჩვენების მიცემას შეუდგა განსასჯელი კარლო (კახა) ჯიჭონაია, კანონიერი გვარდიის ბატალიონის წევრი, რომელსაც მეთაურობდა თენგიზ ბულია (მეტსახელად "კიროკი"). იგი იბრძოდა აფხაზეთში 1993 წლის აგვისტოსა და სექტემბერში.

# კარლო ჯიჭონაიას აღიარებითი ჩვენება ვერ გამოსძალეს

ჯიჭონაიამ უარყო ბრალდება 1994 წლის 16 მაისს, სოფელ ნაცადუსთან წალენჯიხის პოლიციის უფროსის - გ. კალანდიასა და სხვათა მკვლელობაში მონაწილეობის შესახებ და მოწმედ დაასახელა ათობით ადამიანი, ფაქტობრივად, მთელი სოფელი დიდინეძი, სადაც ამ დროს ბიძის დაკრძალვაზე იმყოფებოდა.

ჯიჭონაიაზე ზეწოლის მიზნით, დაპატიმრებამდე რამდენიმე ხნით ადრე, ვითომდა კომენდანტის საათის დარღვევისთვის, პოლიციის თანამშრომლებმა სახლიდან აიყვანეს მისი ძმა, რომელიც არ მიეკუთვნებოდა არც ერთ სამხედრო ფორმირებას ან პოლიტიკურ ჯგუფს, და ერთი თვე ჰყავდათ დაკავებული. იგი სასტიკად აწამეს პოლიციის თანამშრომლის ბორის კვარაცხელიას მონაწილეობით.

თავად კახა ჯიჭონაია დააკავეს 1995 წლის 20 ოქტომბერს. მისგან მოითხოვდნენ, ეღიარებინა 16 მაისის მკვლელობაში მონაწილეობა და მის ორგანიზატორად დაესახელებინა ბადრი ზარანდია. როდესაც მან განაცხადა, რომ ზარანდიას არ იცნობდა, დაუწყეს სასტიკი ცემა და წამება. ამის მოთავე იყო ბორის კვარაცხელია, შემსრულებლები კი - კოტე ავალიანი, ლეო გუჯეჯიანი, აკირბაია და ზუგდიდის იზოლატორის სხვა თანამშრომლები. ერთ-ერთი "დამუშავების" შედეგად ბრალდებულმა გონება დაკარგა.

ამ დროისთვის მეტად დამძიმდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა - [illegible] ძლი, ნაღვლის ბუშტი. [illegible] ნილი წამლები მასთან [illegible] იას სასტიკი ცემა გრძელდებოდა ციხეში გადაყვანის მერეც - თბილისიდან გამომძიებელ ავთო ქურხულიშვილის ჩამოსვლის შემდეგ, რაშიც განსაკუთრებით აქტიურობდა რეჟიმის უფროსი კოტე ავალიანი. განსასჯელმა ვერ გაუძლო ყოველივე ამას და რამდენჯერმე თავის ჩამოხრჩობა სცადა. ამის შემდეგ იგი სხვა საკანში გადაიყვანეს, სადაც ქვეშაგების გარეშე, პირდაპირ რკინის ნარზე მოუხდა წოლა. ქვეშაგები მას არ მისცეს, რათა არ დაეხია და თავი არ ჩამოეხრჩო.

"თბილისში გადმოყვანის შემდეგ გამომძიებელი ქურხულიშვილი დამპირდა, რომ კიდევ ბევრ საქმეს ამკიდებდა თუ ჭკუით არ ვიქნებოდი. მაშინ არ ვიცოდი, რას ნიშნავდა ეს." - განაცხადა განსასჯელმა.

მოსამართლე დაინტერესდა, ესწრებოდა თუ არა ადვოკატი კ. ჯიჭონაიას დაკითხვებს, ან თუ დაუყენებია მას შუამდგომლობები წინასწარი გამოძიების დროს, რაზედაც განსასჯელმა უპასუხა, რომ არ იცნობდა თავის უფლებებს, ხოლო როდესაც ადვოკატ მანანა ჩარმანიას შესჩივლა ცემა-წამების თაობაზე, ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია - ადვოკატმა მხოლოდ უთხრა, ეს დაუშვებელიაო.

კ. ჯიჭონაიას მხრიდან თვითმკვლელობის მცდელობებს ერთგვარი "დადებითი შედეგიც" მოჰყვა. დიდი ძალისხმევის მიუხედავად, გამოძიების მესვეურებმა ვერ შესძლეს მიეღოთ მისგან აღიარებითი ჩვენება.

# პროკურატურა კვლავ არღვევს კანონს

## ვახუშტის ხიდის ამფეთქებელთა საქმის გამოძიება დასრულდა

დასრულდა გამოძიება საქმე №1095211-ზე ბრალდებული პოლიტპატიმრების: კობა ძიძიგურის, ვაჟა წერეთლის, ზაზა დანელიასა და გიორგი ყორბესაშვილის მიმართ. კანონის თანახმად, ისინი საქმის მასალებს ეცნობიან. 10 აპრილს გიორგი ყორბესაშვილი საქმის მე-4-ე ტომს ეცნობოდა და აკეთებდა ამონაწერებს. საქმის მასალები მთავრდებოდა 27-ე ნომრით და შედგებოდა 170 გვერდისგან. უკვე 11 აპრილს, როდესაც პოლიტპატიმრებს გასაცნობად იგივე ტომი წარუდგინეს, აღმოჩნდა, რომ მასში ჩაკრული იყო ახალი დოკუმენტები და, ამდენად, საქმეს დამატებული ჰქონდა 101 საქმის ფურცელი. ბრალდებულმა პოლიტპატიმრებმა გამოთქვეს სერიოზული ეჭვი, რომ მათი საქმე სრულად და ობიექტურად არ იქნა გამოძიებული, მასალები ნაჩქარევად იყო შეკრებილი და ამჟამად, უკვე საქმის დახურვის შემდეგ, ხდება მისი შევსება და გასწორება. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ პოლიტპატიმრებისთვის უცნობია ძიების დამთავრებისა და საქმის დახურვის ოფიციალური თარიღი.

ზემოაღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით, 11 აპრილს პოლიტპატიმრებმა მიმართეს №1 იზოლატორის პროკურორს - ა. ქარჩავაას და მოითხოვეს მასთან შეხვედრა. მიუხედავად ამ შეტყობინებისა, 11 აპრილის შემდეგ პოლიტპატიმრებს აღარ აცნობენ საქმის მასალებს, როგორც ჩანს, ძიების მხრიდან ამ სერიოზული დარღვევების დაფარვისა და მიჩქმალვის მიზნით.

16 აპრილს კ. ძიძიგურმა, ვ. წერეთელმა, გ. ყორბესაშვილმა და ზ. დანელიამ პროტესტით მიმართეს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს - ჯ. ბაბილაშვილს და მის მოადგილეს - ა. ბალუაშვილს:

"... ჩვენთვის გასაცნობად არ მოაქვთ ძირითადი ტომები, რაც წარმოადგენს პროცესუალური ნორმების არსებით დარღვევას.

კატეგორიულად მოვითხოვთ, რეაგირება მოახდინოთ პროცესუალური ნორმების ამ და სხვა არსებით დარღვევებზე (რაც სამართლებრივ სახელმწიფოში საქმის დარღვევის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო!)."

ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, თუ რა რეაგირება მოახდინეს ზემოაღნიშნულმა თანამდებობის პირებმა პოლიტპატიმართა ამ მიმართვაზე, მაგრამ, როგორც ბრალდებულთა 18 აპრილის პროტესტიდან ჩანს, მათ თავი არ შეუწუხებიათ ხსენებული ფაქტების გამოკვლევით.

პოლიტპატიმართა პროტესტში ნათქვამია:

"17 აპრილს, ბრალდებული გიორგი ყორბესაშვილი საქმის მასალების გასაცნობად არ იქნა გამოყვანილი იმ მიზეზით, რომ არ იყო წამოღებული მე-4-ე ტომი (რომელსაც ის ეცნობოდა). ხოლო 18 აპრილს კი საქმის მასალების მე-4-ე ტომში კვლავ ვნახეთ ახლად ჩამატებული საქმის ფურცლები და ამჟამად, აღნიშნული ტომი შედგება 279 საქმის ფურცლისგან და მთავრდება საქმის მასალების 45-ე ნომრით (ნაცვლად 27-ისა).

მოვითხოვთ, შეწყდეს ძიების უცერემონიო და უპასუხისმგებლო მოქმედება და უკვე დახურული საქმის მასალებში ახალ-ახალი დოკუმენტების ჩამატება".

*ნ. ჩეჩელაშვილი*

### რედაქციის განცხადება

ქართველმა მკითხველმა, ცხადია, უკვე იხილა ახალი პერიოდული გამოცემა სახელით "ზვიადის გზა", რომელიც მეტად უცნაური პრინციპით არის შედგენილი. გაზეთში ძირითადად გადმობეჭდილია მასალები სხვადასხვა გამოცემებიდან, მათ შორის გვხვდება "თავისუფალი საქართველოს" პუბლიკაციებიც. ამ მასალის გადაბეჭდვა ჩვენი გაზეთიდან მოხდა რედაქციის თანხმობისა და ნებართვის გარეშე. ვფიქრობთ, ამგვარი თვითნებობა არღვევს ეთიკური მოთხოვნების ყოველგვარ ნორმებს.

არანაირმა კომერციულმა ინტერესმა არ შეიძლება გაამართლოს მეკობრეობის ეს უცნაური სახე, რომელიც ჩრდილს აყენებს არა იმდენად გაზეთის მესვეურთ (ვისი რეპუტაციაც უკვე საგრძნობლად არის შელახული), რამდენადაც თვით იმ პრინციპებს, რომელთა სამსახურისთვის, თითქოს უნდა იყოს მოწოდებული საზოგადოება ან გაზეთი ესოდენი პრეტენზიის მქონე სახელწოდებით.

"თავისუფალი საქართველო"

# მოსამართლე ლეონიძე იცავს შეიარაღებულ მოწმეს

**უზენაეს სასამართლოში შესვლისას, პოლიტიკურ პროცესებზე დამსწრე პირებსა და ჟურნალისტებს გულმოდგინედ ჩხრეკენ. სამაგიეროდ, მოწმეები სხდომათა დარბაზში შეიარაღებულნი იძლევიან ჩვენებებს.**

ბადრი ზარანდიასა და სხვათა სასამართლო პროცესზე, 24 აპრილს, მოწმედ იყვნენ გამოძახებული ზუგდიდის პოლიციის სამხედრო განყოფილების უფროსის მოადგილე როზმან გოგენია და უმცროსი ინსპექტორი დათო კვიტატიანი. განსასჯელთა ჩვენებების თანახმად, ისინი მონაწილეობდნენ დაპატიმრებულთა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დამუშავებაში წინასწარი გამოძიების დროს.

კვიტატიანის მიერ ჩვენების მიცემისას განსასჯელმა ზვიად შეროზიამ განაცხადა, რომ მოწმე შეიარაღებულია და საუბრისას ხელი იარაღის ბუდეზე უდევს, რითაც კვლავ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენს მათზე. დ. კვიტატიანმა არ უარყო ეს ფაქტი, ხოლო სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე ჯ. ლეონიძემ განაცხადა, რომ იგი სამხედროს თანამშრომელია და რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე აქვს უფლება თან ატაროს სატაბელო იარაღი. მოსამართლემ თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა, რადგან არ გაუფრთხილებია მოწმეები სხდომათა დარბაზში იარაღით გამოცხადების დაუშვებლობის შესახებ. ამის შემდეგ მოსამართლემ განაგრძო ჩვენების ჩამორთმევა შეიარაღებული მოწმისგან, ხოლო გასვლისას დაავალა მას, რომ მეორე მოწმეს, რ. გოგენიას, დარბაზში შემოსვლის წინ, თავისი იარაღი კვიტატიანისთვის "გადაებარებინა".

მოწმე გოგენიას დაკითხვისას დარბაზში სიტუაცია დაიძაბა. განსასჯელებმა ამხილეს იგი წამების ფაქტებსა და ცრუ ჩვენებების მიცემაში. ამ დროს მოსამართლემ წამოძახილებისთვის დარბაზიდან გააძევა განსასჯელის დედა - მარინე ზარანდია, რომელიც დერეფანში, ორი პისტოლეტით აღჭურვილი ყოფილი "მხედრიონელის" პირისპირ აღმოჩნდა. მათი შეკამათების დროს სამხედროს შეიარაღებული თანამშრომელი დ. კვიტატიანი შენობის გარეთ ეპატიჟებოდა მ. ზარანდიას - გამოდი, იქ ვილაპარაკოთო.

შეიძლება არც იყოს გასაკვირი, რომ პოლიციის თანამშრომლები უხეშად არღვევენ წესდებას, რომლის თანახმად, იარაღის ტარების უფლება მათ აქვთ მხოლოდ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, ისინი კი შეიარაღებულნი დაიარებიან ხალხის თავშეყრის ადგილებში, მით უფრო, უზენაეს სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას. მაგრამ, უდავოდ, აღმაშფოთებელია სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლის მოქმედება, რომელმაც არა თუ არ მიუთითა ამ დარღვევაზე, არ შეწყვიტა ჩვენების ჩამორთმევა და არ ჩააბარებინა იარაღი დაცვის სამსახურისთვის, არამედ გაამართლა კიდეც მათი საქციელი. ამასთან მოსამართლემ, ნებსით თუ უნებლიედ, მ. ზარანდიას გაძევებით, ხელი შეუწყო დაპირისპირებულ მხარეთა შეხლა-შემოხლას მაშინ, როდესაც მეორე მხარე შეიარაღებული იყო.

პოლიტიკურ სასამართლო პროცესებში მონაწილეთა შორის, აქამდე ბ-ნი ჯ. ლეონიძე მომგებიანად გამოირჩეოდა შედარებით დელიკატური ქცევით. ამ შემთხვევამ ნათელჰყო, რომ დღევანდელ საქართველოში სასამართლო ხელისუფლება მეტისმეტად შორსაა დამოუკიდებლობისგან და, პირდაპირ თუ ირიბად, კვლავ იარაღის დიქტატის ქვეშაა.

ამაში დაგვარწმუნა კიდევ ერთმა ფაქტმა. მოწმეთა ჩვენებებში აღმოჩნდა წინააღმდეგობები: დ. კვიტატიანი ამტკიცებდა, რომ შემთხვევის ადგილზე გასვლა მის გარეშე მოხდა, რადგან იგი ამ დროს საკვალიფიკაციო კურსებზე იყო გაგზავნილი. ამის საპირისპიროდ, დ. გოგენიამ აღწერა, თუ რომელი მანქანით, სად იდგა და რა ფუნქციას ასრულებდა უმცროსი ინსპექტორი დ. კვიტატიანი. ამან ეჭვქვეშ დააყენა ორივეს ჩვენება, რის გამოც დ. გოგენიამ სასწრაფოდ მოახდინა კონფლიქტის პროვოცირება - მოსამართლეს შესჩივლა, თითქოს რომელიღაც განსასჯელი მას დედას აგინებდა. მოსამართლემ სასწრაფოდ შეწყვიტა სხდომა, თუმც დამსწრეთა ყურამდე უწმაწური სიტყვებს არ მიუღწევია.

*ს. გურამიშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენებას იძლევა უზენაესი საბჭოს წევრი ნუგზარ მოლოდინაშვილი

## უზენაესი საბჭო

ფაქტობრივად, აღმოვჩნდით საოცარი სიმბიოზის მომსწრენი. უზენაესი საბჭო დაკომპლექტდა ძირითადად ორი კატეგორიის ხალხით. ერთი კატეგორია, რომელსაც ჰქონდა მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ და მეორენი, რომელთაც არ ჰქონდათ არავითარი პოზიცია ერთის გარდა - რაც შეიძლება კარგად მორგებოდნენ მმართველი პარტიის პოზიციას, საუბედუროდ, მხოლოდ სტაბილურ სიტუაციაში. ასე რომ, თავიდან, პირველ სხდომებზე, პარადოქსული ვითარება იქმნებოდა - "მრგვალი მაგიდის" დეპუტატები ვერ ასწრებდნენ ხელის აწევას კომუნისტ დეპუტატებს ამა თუ იმ საკითხის დამტკიცებისას. იხატებოდა ერთსულოვნების იდილიური სურათი. უმნიშვნელო დისონანსი შეჰქონდა მხოლოდ ნოდარ ნათაძის ერთგვარ ოპოზიციურ ჯგუფს. ეს გამაღიზიანებელი არ ყოფილა. ჩვენ სტრატეგიულ საკითხებში არ გვქონია აზრთა სხვადასხვაობა.

პირველ სესიაზე გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი. "მრგვალი მაგიდის" სტრატეგიული პროგრამა იყო - საქართველოს დაეტოვებინა სსრკ მსხვერპლისა და ეკონომიკური ნგრევის გარეშე; მიეღწია სრული იურიდიული დამოუკიდებლობისთვის როგორც პოლიტიკაში, ასევე ეკონომიკაში.

რატომღაც, ყველას მიავიწყდა პირველი სხდომები, სადაც დაფიქსირდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეობა. გადაწყდა შექმნილიყო საკონსტიტუციო კომისია, რომელიც, დროის მოთხოვნების გათვალისწინებით, მოამზადებდა 1921 წლის კონსტიტუციის ახალ რედაქციას. ახალი კონსტიტუციის მომზადებამდე ქვეყანაში მოქმედებდა 1978 წლის კონსტიტუცია, შესწორებებითა და დამატებებით.

## ზოგიერთი კულუარული დეტალი

დღის წესრიგში დადგა სამართალდამცავი ორგანოების უმაღლესი რანგის მოხელეებით დაკომპლექტების აუცილებლობა - იუსტიციის მინისტრის, გენერალური პროკურორის, უზენაესი სასამართლოსა და საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეების დანიშვნის საკითხი - ის, რაც ჩემი კომისიის სფეროში შედიოდა. ვერაფერს ვიტყვი პოლიტიკური პოზიციის შესახებ, მაგრამ რაც შეეხება პროფესიონალიზმს, ჩემი აზრით, ეს ხალხი განეკუთვნება სახელმწიფო მოხელეთა გარკვეულ კასტას. ისინი მაღალი დონის პროფესიონალებიც არიან და თავისი მოვალეობის შემსრულებელნიც სტაბილური სახელმწიფოს პირობებში, მაგრამ აქაოა ფიქრი იმისა, რომ კრიტიკულ ვითარებაში მათთვის ჩვეულ გარემოს (არ მინდა ამას კეთილდღეობა დავარქვა) არაცვალებენ ან იდეას, ან თუნდაც უპირველესს, რისთვისაც მოწოდებულნი არიან - ემსახურონ კონსტიტუციას და კანონს. ეს მეტად სამწუხაროა, მაგრამ ასეა.

ამ საკითხის გადაწყვეტისას იყო აზრთა სხვადასხვაობა ჩემსა და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს შორის. კერძოდ, იუსტიციის მინისტრის კანდიდატურის გამო. "მრგვალი მაგიდის" სხდომაზე ჩემგან წარდგენილი იყო ჯ. ხეცურიანის კანდიდატურა. შემდგომში აღმოჩნდა, რომ ამ პოსტზე ბატონ ზვიად გამსახურდიას მინდია უგრეხელიძის კანდიდატურა უფრო მიზანშეწონილად ესახებოდა. შეიქმნა მეტად დელიკატური სიტუაცია. ბ-ნი მინდია იმყოფებოდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში, ხოლო მე იძულებული ვხდებოდი მისი თანდასწრებით მემტკიცებინა ჯ. ხეცურიანის კანდიდატურის მიზანშეწონილობა. ვთვლი, რომ ამოცანას წარმატებით გავართვი თავი. ბატონ ზვიადს ცალკე ავუხსენი, რომ წინასწარ დასახელებულ კანდიდატურაზე ინფორმაციამ გაჟონა და ახლა მისი შეცვლა გარკვეულ უხერხულობას შეიქმნიდა კომისიაში შემდგომი მუშაობისას; მე მოკრძალებით ვთხოვე ბატონ ზვიადს, გაგვეფრთხილებოდით ერთმანეთის ავტორიტეტს. ზედმეტი დავა და არგუმენტაცია არ დამჭირვებია.

ბატონმა ზვიადმა იკითხა, მინდიას რა ვუყოთო. მე შევთავაზე მისი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე წარდგენა, რაც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისთვისაც მისაღები აღმოჩნდა.

## პუტჩის პირველი სიმპტომები

28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ურთიერთობა "მხედრიონთან" კიდევ უფრო გამწვავდა და აშკარა კონფრონტაციის სახე მიიღო. მაგრამ არა რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, არამედ უკვე ხელისუფლებასთან. დაიწყო ე.წ. პოლიტიკური აქციები ოპერის ბაღში და ქუჩების ნახევრად შეიარაღებული პიკეტირება-გადაკეტვა დედაქალაქში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. პარალელურად მიმდინარეობდა აშკარა შეიარაღებული მძარცველობა.

ხელისუფლებამ შესაბამისი ზომები მიიღო.

განსაკუთრებით მწვავე სიტუაცია იყო კახეთში. მეტად მნიშვნელოვან და წონიან ფიგურას "მხედრიონში" წარმოადგენდა კახეთის სადროშოს უფროსი გელა გოდერძიშვილი, რომელთანაც მეგობრობა მაკავშირებდა. ინსტიტუტში ერთ კურსზე ვსწავლობდით. კახეთში სრულიად აუტანელი სიტუაცია შეიქმნა და ხელისუფლება იძულებული გახდა ზღვარი დაედო ამ უგუნურებისთვის. დაგეგმილი იყო ამ ჯგუფების დაპატიმრება. მე ვთხოვე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ზვიად გამსახურდიას, მოეცა ჩემთვის საშუალება შევხვედროდი გოდერძიშვილს, რათა მეცადა მისი გონზე მოყვანა. იგი უყოყმანოდ დამთანხმდა.

საგარეჯოს რაიონულ პროკურატურას ვთხოვე, მოეძებნა აღნიშნული პიროვნება. არ ვიცი, როგორ მოახერხეს, მაგრამ შეხვედრა შედგა. ჩემს შეთავაზებულ წინადადებაზე მან მითხრა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილსაც ბანდიტად თვლიდნენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. რა ქაქუცაც იყო, კარგად ვიცოდი; დრომაც აჩვენა ეს. მე სრულიად სერიოზულად გავუმეორე, რომ მისგან არაფერს ითხოვდნენ გარდა ანტისახელმწიფოებრივი და ანტიკანონიერი ქმედების შეწყვეტისა, რაზედაც მან უცნაური წინადადებით მომმართა - "მე მზად ვარ, შეგიძლია, აქედანვე დამაპატიმრო. ყოველგვარი წინააღმდეგობის გაუწევლად გამოგყვები პირადად შენ, ხოლო დანარჩენი - არც ჩემი გადასაწყვეტია და ვერც გადაკეთებთ". მე აგუხსენი, რომ მის დასაპატიმრებლად არ ვიყავი ჩასული, ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედიოდა. ვუთხარი, რომ თავისი ბედის გამგებელი ამ წუთიდან, ან ჩვენი დაცილების შემდეგ, თავად ის იქნებოდა და, სხვათა შორის, ღმერთის შემწეობაც ვუსურვე, რათა ცოცხალი გადარჩენილიყო.

> "მრგვალი მაგიდის" სტრატეგიული პროგრამა იყო - საქართველოს დაეტოვებინა სსრკ მსხვერპლისა და ეკონომიკური ნგრევის გარეშე; მიეღწია სრული იურიდიული დამოუკიდებლობისთვის როგორც პოლიტიკაში, ასევე ეკონომიკაში.

ყოველივე ამან საპირისპირო შედეგები მოგვიტანა. იქიდან მშვიდობიანად წასული, შემდგომში, რამდენიმე მხედრიონელთან ერთად, პროვოკაციის მიზეზი გახდა. კერძოდ, ქალაქის ცენტრში, ყველას დასანახად ცეცხლი გაუხსნა (უნდა აღვნიშნო, არა მოკვლის, არამედ პროვოკაციის მიზნით) პოლიციელებს. საპასუხო სროლის შედეგად იგი დაიჭრა. ამას იმიტომ გიყვებით, რომ აღნიშნულმა პიროვნებამ ეს ისტორია როგორც მას სურდა, ისე წარუდგინა საზოგადოებას - ეს მის ნამუსზე იყოს.

## რა ძალები იდგა "მხედრიონის" უკან?

"მხედრიონმა", მისი დაარსებიდანვე, დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჯერ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, შემდეგ კი ეროვნულ ხელისუფლებასთან. ეს არ ყოფილა შემთხვევითი, რადგან ეს ორგანიზაცია შექმნილი იყო იმპერიის საიდუმლო სამსახურების მიერ მოქალაქე მგელაძისა და მოქალაქე შევარდნაძის აქტიური დახმარებით. ამის თქმის უფლებას ბევრი მასალა მაძლევს. მხოლოდ ერთ ასეთ ცნობას მოვიყვან:

"გედევანიშვილი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, მეტსახელად "გიურზა", დაბადებულია 1945 წელს თბილისში, კგბ-ს აგენტი-რეზიდენტი. 1967 წელს დაამთავრა კგბ-ს სპეციალური დივერსიულ-სადაზვერვო სკოლა ბალაშიხში. კგბ-მ სამუშაოდ მოაწყო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში რადიოაპარატურის სპეციალისტად. საზღვარგარეთის ტურნეებში დაჰყვებოდა ანსამბლებს "დიელო", "რერო", "ორერა". ასრულებდა კგბ-ს დავალებებს - უცხოეთში მყოფ რეზიდენტებთან ჩაჰქონდა შიფრები, ინსტრუქციები, სპეციალური მოწყობილობანი. "მხედრიონში" ჩანერგეს ჩამოყალიბების დღიდან. ჯაბა იოსელიანთან დაახლოებული პიროვნება. ინსტრუქციებს უწევდა "მხედრიონის" წევრებს სასროლი იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენებაში. დააკავეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებმა 1995 წლის 12 ივნისს. ეპიზოდები: გ. გულუას მკვლელობა, შ. გულედანის გატაცება-დაწვა, პოლიციელის მკვლელობა დიდუბეში.

ქარსელაძე ზურაბ შალვას ძე, მეტსახლად "იუზგარა". ოპერატიული ფსევდონიმი "ივანიცკი". შსს-ს აგენტი-ინფორმატორი. დაბადებული 1933 წელს. ჯაბა იოსელიანის უახლოესი თანაშემწე. ეპიზოდები: მონაწილეობა გ. გულუას მკვლელობაში; მონაწილეობა 18 ადამიანის გატაცებაში 4 მკვლელობით; ყაჩაღური თავდასხმა ბენზინით სავსე ვაგონზე, ბენზინის მიტაცება და რეალიზაცია; ზ. ნიკოლაიშვილის ფიზიკური შეურაცხყოფა სხეულის დაზიანებით; ყაჩაღური თავდასხმა მოქალაქე შაფათავაზე პატარა დილომში."

მოქალაქე შევარდნაძეს არასოდეს უარუყვია "მხედრიონთან" სიახლოვე და ამის დასტურად კმარა ის ფაქტიც, რომ 1993 წელს იგი საპატიო მხედრიონელიც კი გახდა, ხოლო როცა აღარ ჰყავდა პოლიტიკური ოპონენტი, რომლის წინააღმდეგაც სჭირდებოდა "მხედრიონი", მან დამნაშავედ გამოაცხადა და მოიცილა ეს ორგანიზაცია.

ჩვენი სასამართლო სხდომების დაწყებისთანავე მე მივმართე დაზარალებულების მშობლებსა და ახლობლებს, რომ მოთმინებით დალოდებოდნენ ამ პროცესის მიმდინარეობას. არ ვიცი, არის თუ არა მათ შორის მხედრიონელის დედა, მაგრამ მინდა მივმართო ყოველი მხედრიონელის ახლობელს: არც ერთი ქართველის სიცოცხლე ჩემთვის არასდროს ყოფილა სულერთი. მინდა ვურჩიო მათ, რომ თავიანთი შვილების მკვლელი, გამნარკომანებელი, გამყაჩაღებელი ეძებონ პიროვნებაში, რომელმაც ქართველი ხალხის სისხლსა და გვამებზე დააფუძნა ძალაუფლება.

## ქართული გვარდიის შექმნა

1990 წელს, უზენაესი საბჭოს დადგენილებით, შეჩერებული იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის მოქმედება. ამავე დროს მიღებული იქნა დებულება და კანონი შინაგან ჯარში. ეროვნულ გვარდიაში გაწვევის შესახებ. ეს კანონი შემუშავებული იყო თავდაცვისა და უშიშროების კომისიის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვაჟა ადამია. მასში ნათლად იყო ნათქვამი, რომ შექმნილი ფორმირება შედიოდა შსს-ს დაქვემდებარებაში და წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან ჯარს. ეს ხდება 1990 წლის ნოემბერში - 1991 წლის იანვარში. იმ დროს საქართველო ფორმალურად რჩებოდა საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში და არ არსებობდა არავითარი საშუალება, რათა შეგვექმნა თავდაცვის სამინისტრო და საკუთარი ჯარი. შემდგომში, როდესაც მივუახლოვდებით რკონის ამბებს, მე შეგახსენებთ ამ ფაქტს.

## სამხრეთ ოსეთის ოლქის გაუქმება

საქართველოს მთავრობა ცდილობდა მოეგვარებინა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ინსპირირებული კონფლიქტები სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. 1990 წლის 22 ნოემბერს მიღებული იქნა უზენაესი საბჭოს დადგენილება "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ ოლქის სტატუსის შეცვლის თაობაზე", რომელშიც ნათქვამია:

"საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, ა.წ. 16 ოქტომბერს მოწვეული იქნა ავტონომიური ოლქის საბჭოს სესია და დადასტურებულ იქნა წინათ მიღებული გადაწყვეტილება. საბჭომ აირჩია ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტი და მიიღო დროებითი დებულება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი საბჭოს არჩევნების შესახებ. არჩევნები დაინიშნა 1990 წლის 2 დეკემბერს.

ამის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ დაადგინა: გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დადგენილება ავტონომიური ოლქის ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ და აქედან გამომდინარე, მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება..."

ოსი სეპარატისტები აგრძელებდნენ თავიანთ მოქმედებებს, რასაც მოჰყვა იძულებითი ნაბიჯი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მხრიდან, ანუ დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, რომელიც, შესაძლოა, იმ მომენტისთვის იყო იძულებითი, მაგრამ ამავე დროს წარმოადგენდა უდიდეს ისტორიულ კანონზომიერებას. საქართველოს ტერიტორიაზე არასოდეს უარსებია ოსურ სახელმწიფოებრივ ერთეულს. ეს შესანიშნავად მოეხსენებათ ოს სეპარატისტებს. მხოლოდ 1921 წლის ანექსია-ოკუპაციის შემდეგ, წარსული დამსახურებებისთვის, ბოლშევიკურმა რეჟიმმა მიანიჭა მათ ეს უფლება. საერთოდ, ყველა მარიონეტი ყოველთვის საოცარ გულუხვობას იჩენდა საქართველოს ტერიტორიის ხარჯზე.

ყოველივე ამას კონფლიქტის გამწვავება და ღია კონფრონტაცია მოჰყვა. ყოფილი ავტონომიური ოლქის მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და შეყვანილი იქნა შსს-ს ძალები. ითვალისწინებდა რა იმას, რომ საქართველო იმ პერიოდისთვის რჩებოდა იმპერიის იურისდიქციაში, ზედმეტი გამწვავების თავიდან ასაცილებლად, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების სტატუსით დაშვებულ იქნა სსრკ-ს ნაწილები, ძირითადად შსს-ს ძალები. ამან უზენაესი საბჭოს სხდომებზე ზოგიერთი დეპუტატის, კერძოდ, ნოდარ ნათაძისა და სხვათა მხრიდან, საკმაოდ დიდი გაღიზიანება გამოიწვია. უზენაესი საბჭო ხელმძღვანელობდა მაშინ არსებული რეალობით. კარგად მახსოვს, ბატონმა ზვიადმა ასეც უპასუხა ბ-ნ ნოდარს: "სამაჩაბლოს ტერიტორიაზე საბჭოთა იმპერიის შეიარაღებული ძალები მე არ შემიყვანია. ისინი იქ იყვნენ უკვე 1921 წლიდან". იქ იდგა ვერტმფრენთა პოლკი, სპეციალური ნაწილები და ა.შ.

შეყვანილი ძალები, სულ მცირე, იმას მაინც აკეთებდა, რომ კონფლიქტი დაკონსერვებულიყო, რაც დროის მოგების საშუალებას გვაძლევდა. ეს კონფლიქტი სამი წლის განმავლობაში გაჰყვება საქართველოს და ბოლოს "შესანიშნავი", და "ლოგიკური" გადაწყვეტილებით გადაიჭრება.

## რისთვის ირჯებოდა თენგიზ სიგუა

უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობა იყო აბსოლუტურად კოლეგიალური. ყველას შეეძლო გამოეთქვა თავისი აზრი და დაეცვა საკუთარი პოზიცია. მაგრამ იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც სათავისოდ ბალახობდნენ. მაგალითად, თენგიზ სიგუა. მე არც ერთი, ყველაზე ფანატიკოსი ზვიადისტისგან არ მომისმენია ისეთი დითირამბები უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მიმართ, რის უფლებასაც ის თავის თავს აძლევდა. მე არ ვამბობ, რომ ეს დითირამბები ადრესატს არ შეესაბამებოდა.

დიდხანს არ გავჩერდები იმ საბოტაჟზე, რაც დღიდან პრემიერ-მინისტრად გახდომისა, დაიწყო თენგიზ სიგუამ. იგი მეთოდურად ქმნიდა ქვეყანაში მეორე ცენტრს, ვითომ აღმასრულებელს, როგორიც უნდა ყოფილიყო ის კანონით, მაგრამ ამავე დროს საკანონმდებლოსაც. მის მიერ იგნორირებული იყო უამრავი საკანონმდებლო გადაწყვეტილება. იმ პერიოდიდან დაიწყო ჩრდილოვანი ეკონომიკის მსხვილ წარმომადგენელთა გადმობარგებაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ასევე ისახებოდა ახლადშექმნილი გვარდიის სარდლობის სიგუასთან დაახლოვების მეტად სახიფათო ტენდენცია..

## სიკვდილით არავინ დასჯილა

თავის გამოსვლაში ზვიად ძიძიგურმა ძალიან მცირე უზუსტობა დაუშვა, როდესაც თქვა, რომ ჩვენ გავაუქმეთ სიკვდილით დასჯა. მთელ რიგ მუხლებზე, რომლებიც შეეხებოდა ქონებრივ დანაშაულს, სიკვდილით დასჯა მართლაც გაუქმდა, მაგრამ არ გაუქმებულა მძიმე დანაშაულებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ზვიად გამსახურდიასა და ეროვნულ ხელისუფლებას არარეალიზმსა და არასახელმწიფოებრივ აზროვნებაში სდებდნენ ბრალს, (მე 41 წლის კაცი ვარ და ამ ხნის მანძილზე, ამაზე უფრო რეალისტურ და სახელმწიფოებრივ პოლიტიკას არ შევსწრებივარ), სიკვდილით დასჯაზე მსჯელობისას გათვალისწინებული იქნა ის მენტალიტეტი, რაც არსებობდა და დღესაც არსებობს საქართველოში. კერძოდ, ყველა დაზარალებული სასჯელის ზომას შურისძიებად აღიქვამს. მაგრამ თქვენც და მეც კარგად მოგვეხსენება, რომ არც ერთი სასჯელი შურისგების ზომა არ არის. მიუხედავად ამისა, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი მმართველობის პერიოდში სიკვდილით არ დასჯილა არც ერთი დამნაშავე. განაჩენი შედიოდა ძალაში მხოლოდ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერის შემდეგ. მე მახსოვს ზვიად გამსახურდიას თხოვნა პრეზიდიუმის წევრებისადმი, რომ ასეთი ქაღალდი მასთან ხელმოსაწერად არ შეეტანათ.

1990 წლის ბოლოსთვის მომზადდა ძალიან ფართო ამნისტია. მის პროექტზე მომუშავე კომისიის თავმჯდომარე მე გახლდით. მასში მონაწილეობდა იურიდიული მეცნიერების იმ დროისთვის ყველა გამოჩენილი მოღვაწე. ამნისტია შეეხო მოქალაქე შევარდნაძის ერთგულ მეგობარს, სოლიკო ხაბეიშვილსაც.

აი, დაახლოებით, ის თანმიმდევრული ნაბიჯები, რომლითაც იწყებდა არსებობას ქართული სახელმწიფო. ასე ლოგიკურად მივუახლოვდით 1991 წლის გაზაფხულს, მარტის თვეს.

(გაგრძელება იქნება)

კონსტანტინე გამსახურდია

# ზვიად გამსახურდია

## დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე

(წიგნი იბეჭდება მცირე შემოკლებით და ავტორისეული დამატებებით)




მეხუთე თავი

### საქართველოს მეორე რესპუბლიკა

9 აპრილის შემდეგ საქართველოში განსაკუთრებული განწყობილება სუფევდა. ათასობით კომუნისტმა დატოვა პარტიის რიგები, თუმცა ისეთებიც იყვნენ, ვინც პარტბილეთს ვერ შეელია - ძირითადად, "არსობის პურის" მაძიებელნი. კომუნისტური იდეალები უკვალოდ აღიგავა პირისაგან მიწისა. ასპარეზზე გამოვიდა სრულიად ახალი ძალა - ანტიკომუნისტური პარტიული გაერთიანებები. გაგრძელდა საპროტესტო დემონსტრაციები.

1989 წლის 13 ოქტომბერს ტრაგიკულად დაიღუპა მერაბ კოსტავა. ავარია მოხდა მეტად გაურკვეველ სიტუაციაში. მანქანას ქალი მართავდა. არ არსებობს უტყუარი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვითარებამ განაპირობა საგზაო შემთხვევა, რომლის შედეგადაც მერაბ კოსტავა და მეორე მგზავრი გარდაიცვალნენ.

მერაბ კოსტავა, რომელმაც 10 წელი პატიმრობაში გაატარა, ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულით სარგებლობდა. ის გარდაიცვალა 50 წლის ასაკში და ხსოვნას შემორჩა, როგორც მაღალი იდეალების, უაღრესად ზნეობრივი პიროვნება. სითბო, რომელსაც მერაბ კოსტავას ნათელი პიროვნება ასხივებდა, მრავალ ტანჯულს შვებას გვრიდა. როცა მერაბ კოსტავა ადამიანებს ესაუბრებოდა, მისი შემართება გადაედებოდა მსმენელს. ხალხი მას, სრულიად სამართლიანად, გმირს უწოდებდა; და ოდეს მისი ნეშტი თბილისს ჩამოასვენეს, ქალაქი ძაძით შეიმოსა. საქართველო ენითგამოუთქმელმა მწუხარებამ მოიცვა, რამეთუ მეტად მძიმე იყო დანაკარგი. მხოლოდ მგლოვიარეთა მცირე ნაწილმა შეძლო ბოლომდე მიჰყოლოდა პროცესიას მთაწმინდისკენ მიმავალ გზაზე, რადგან 100 000 ადამიანი, რომელსაც სურდა უკანასკნელი პატივი მიეგო ეროვნული გმირისთვის, პატარა პლატომ ვერ დაიტია. ძველი ტაძრის გვერდით, პატარა სასაფლაოზე ჰპოვა მერაბ კოსტავამ სამუდამო განსასვენებელი, ქართველთა სათაყვანებელი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა მახლობლად.

ამასობაში ე.წ. ნომენკლატურა გრძნობდა თავისი ძალაუფლების აღსასრულის მოახლოებას და ცდილობდა, როგორმე შეენარჩუნებინა პოზიციები. ამისთვის კომუნისტებმა ეთნიკური კონფლიქტები გააჩაღეს სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლში (ე.წ. სამხრეთ ოსეთი) და აფხაზეთში. თუმცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ამის გამო არ შეფერხებულა.

ეროვნული ძალები კვლავ კომუნისტური სისტემის სრული ლიკვიდაციის მოთხოვნით გამოდიოდნენ. ამის მიღწევა კი მხოლოდ თავისუფალი არჩევნების გზით შეიძლებოდა. კომპარტიის ახალი ხელმძღვანელი - გუმბარიძე შეეცადა ხელი შეეშალა ამ პროცესისთვის. გუმბარიძე, როგორც პარტხელმძღვანელი, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეც იყო. საბჭოთა კავშირში დეპუტატების არჩევა კომუნისტური პარტიის წევრთაგან ხდებოდა და თითქმის ყოველთვის მოსახლეობის ხმათა 99 პროცენტით. გუმბარიძე ახლაც იმედოვნებდა, რომ არჩევნები მას წარმატებას მოუტანდა. კომუნისტების მიერ შემუშავებული საარჩევნო კანონის მიხედვით ყველას ენიჭებოდა თავისი კანდიდატურის წარდგენის უფლება, მაგრამ სხვა პარტიები ვერ მიიღებდნენ მონაწილეობას არჩევნებში. რაღა თქმა უნდა, არც პარტიული სიები იქნებოდა. ბუნებრივია, გამსახურდია და მისი თანამოაზრეები ამას შეეწინააღმდეგნენ.

გუმბარიძემ სხვა ხერხს მიმართა. მან თავის ნდობით აღჭურვილ პირებს "ფორუმი" მოაწვევინა, რისთვისაც სახსრები გაიღო მისმა მოადგილემ - გურამ მგელაძემ, რომელიც არალეგალური საქმიანობის გამო საკმაოდ ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა და "აგროპრომის" ხელმძღვანელის პოსტზე ყოფნის დროს გვარიანადაც გამდიდრდა.

ფორუმზე მიიწვიეს ყველა მიმართულების წარმომადგენლები, მათ შორის ზვიად გამსახურდიაც. მთავარი მოქმედი პირი "საზოგადოება თბილისელი" იყო, რომელიც ძველ ნომენკლატურას წარმოადგენდა. მოგვიანებით მათი რიგები შეავსეს ფსევდოოპოზიციამ - ნომენკლატურულმა ინტელიგენციამ და ნაციონალისტებმა, რომელთაც პოლიტიკურ სარბიელზე წარმატება ვერ მოიპოვეს; სწორედ აქ წარსდგა მგელაძისგან დაფინანსებული ჯაბა იოსელიანი "მხედრიონის" ხელმძღვანელის როლში. მან შექმნა ვითარება, რომლის გამოც გამსახურდიამ "ფორუმი" დატოვა - იოსელიანის ხალხმა დღისით, მზისით გაისროლა რუსთაველზე. გამსახურდიამ იოსელიანის ქმედებას ტერორისტული აქტი უწოდა და სამუდამოდ დატოვა ფორუმი. ის მაშინვე მიხვდა, რისთვისაც იყო გამიზნული ეს ინციდენტი, ამიტომ დაუყოვნებლივ მიმართა "ჰელსინკის კავშირს", "ილია მართლის საზოგადოებას", "ტრადიციონალისტებს", "მერაბ კოსტავას საზოგადოებას", "ნაციონალ-ლიბერალურ პარტიას" და მათთან ერთად დააფუძნა "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო".

გამსახურდია აირჩიეს ამ გაერთიანების სპიკერად. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ახალი საარჩევნო კანონი, რომელიც არაკომუნისტური, მრავალპარტიული არჩევნების ოფიციალურად ჩატარების საშუალებას იძლეოდა. მაგრამ იმისთვის, რომ ოფიციოზს ეს კანონი ეღიარებინა, ჯერ კიდევ ბრძოლა იყო საჭირო. თავისი რეკომენდაციები საარჩევნო მოდუსის შესახებ "ფორუმმაც" გაავრცელა. ისინი, ისევე როგორც საბჭოეთის სხვა რადიკალური მოწინააღმდეგენი, საქართველოში განლაგებულ შეიარაღებულ ჯარებს "ოკუპანტებს" უწოდებდნენ და აცხადებდნენ, რომ სანამ ეს ჯარები საქართველოდან არ გავიდოდნენ, ოფიციალური თავისუფალი არჩევნები ილუზია იქნებოდა. ამასთან ისე იქცეოდნენ, თითქოს გუმბარიძის მიერ შემოთავაზებული საარჩევნო პირობების წინააღმდეგნი იყვნენ, სინამდვილეში კი თანხმობას აცხადებდნენ, თუ ეროვნული კონგრესი არაოფიციალურ არჩევნებში წინასწარ დანაწილებული ფუნქციებით იქნებოდა შედგენილი. მთელ ამ სპექტაკლს ერთადერთი მიზანი ჰქონდა - გამსახურდიას დატოვება პარლამენტს გარეთ. წინააღმდეგობების მიუხედავად გამსახურდია აგრძელებდა ბრძოლას თავისუფალი არჩევნებისთვის. მისი მოლაპარაკება ხელისუფლებასთან არც ისე უშედეგო იყო, რადგან იმხანად დასავლეთის [illegible] ყურადღებას აქცევდა საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენებისადმი, ხოლო გამსახურდიას მოთხოვნები პერესტროიკის ოფიციალურად დეკლარირებულ პრინციპებს ფორმალურად არ ეწინააღმდეგებოდა.

სამტრედიაში გაიფიცა პატარა ჯგუფი, ძირითადად რკინიგზის მუშაკები, რითაც დაირღვა მატარებლების მოძრაობა მნიშვნელოვან მარშრუტებზე. გაფიცვა მიმდინარეობდა თავისუფალი, მრავალპარტიული არჩევნების მოთხოვნით. ოფიციოზმა ჩათვალა, რომ ამ შემთხვევაში წესრიგის დამცველთა გამოყენება და დემონსტრანტთა იარაღის ძალით დაშლა მიზანშეუწონელი იქნებოდა, რადგან არჩევნები კარზე იყო მომდგარი და ისინი თავს იწონებდნენ "დემოკრატიზაციისაკენ" შემობრუნებით.

გადაწყდა მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება. სულ არჩეული იქნებოდა 250 დეპუტატი. ნაწილი პარტიული სიებით გავიდოდა, ხოლო ნაწილი - ამომრჩეველთა ინდივიდუალური თვალსაზრისის მიხედვით.

არჩევნები 1990 წლის ოქტომბერში ჩატარდა. "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" ხმათა 64 პროცენტით გავიდა. 27 პროცენტი კომუნისტებმა მიიღეს, ხოლო დანარჩენი ხმები "სახალხო ფრონტსა" და პატარ-პატარა გაერთიანებებზე განაწილდა. შემდგომში მათ კომუნისტებთან ერთად ოპოზიცია ჩამოაყალიბეს. პარლამენტმა პირველივე სესიაზე თავმჯდომარედ ზვიად გამსახურდია აირჩია, ხოლო პრემიერმინისტრად - მოსკოვში შეცვლილი თენგიზ სიგუა. კვლავ აღსდგა საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროშა, ღერბი და ჰიმნი.

*გერმანულიდან თარგმნა*
*თამარ იაშვილმა*

(გაგრძელება იქნება)

---

# TAVISUPALI SAKARTVELO
## (FREE GEORGIA)
## No15 (in brief)
## 30 April- 6 May, 1996

## Prosecutor's Office Continues to Violate the Law

The investigation of # 1095211 Case against political prisoners Mr. Koba Dzidziguri, Mr. Vazha Tsereteli, Mr. Zaza Danelia and Mr. Giorgi Korbesashvili is over, and in accordance with the Law they are getting familiar with the materials of the Case. On April 10 Giorgi Korbesashvili while reading the 4th volume of his case was making notes in his copy-book. The Case materials ended with # 27 document with total of 170 pages. On April 11, when the political prisoner was provided with the same volume to continue its reading, he has found out that the volume contained new documents and thus the Case had additional 101 pages. The defendants political prisoners expressed their serious doubt that their Case was not comprehensively and objectively investigated, the documents were collected in a hurry and now already after the Case investigation was over it is being filled and amended.

On April 11 the political prisoners appealed to the prosecutor of #1 isolation detention cell Mr. A. Kachibaia with request to meet them. Irrespective of this appeal, after April 11, the prisoners were not allowed to get familiar with their case which probably was caused by the intention to hush-hush these serious violations.

On April 16 Mr. K. Dzidziguri, Mr. V. Tsereteli, Mr. G. Korbesashvili and Mr. Z. Danelia appealed to the Prosecutor General of the Republic Mr. J. Babilashvili and his deputy Mr. A. Baluashvili with a protest.

## They Failed to Force Karlo Jichonaia to Confess

The Supreme Court continued hearing of Mr. Badri Zarandia and others Case on April 22. The defendant Mr. Karlo (Kakha) Jichonaia, the member of the lawful National Guards battalion, who was fighting in Abkhazia in August and September, 1993, began to give testimonies.

Mr. Jichonaia denied the charge according to which he was accused in participation in slaying the head of Tsalendjikha police station Mr. G. Kalandia and others. He named tens of witnesses who could prove his innocence.

With the aim to exert pressure on Jichonaia, his brother who had been detained in the police for one months was subjected to unmerciful tortures with participation of the police officer Boris Kvaratskhelia. All this happened some time before the arrest of Mr. Jichonaia.

Mr. Kakha Jichonaia himself was arrested on October 20, 1995. He was demanded to confess in participation in May 16 murder and to name Mr. Badri Zarandia as the organizer of the murder. When Mr. Jichonaia declared that he was not acquainted with Mr. Zarandia, he was subjected to severe beating and tortures. The initiator of these actions was Boris Kvaratskhelia while the police staff members Leo Gujejiani, Akerbaia and the staff members of Zugdidi isolation detention cell were the direct executors. One of "processing" procedures resulted in fainting.

The defendant could not any more bear the tortures and had more than one attempts to hang himself. After this he was transferred to another cell, from where they took all bedding so that he would not be able to tear the sheet and make another attempt of hanging himself.

The investigators failed to force the prisoner to confess in murder of the head of Tsalendjikha police station and others.

## Judge Leonidze Defends the Armed Witness

On entering the building of the Supreme Court the journalists and persons attending political trial are thoroughly searched. On the other hand, the witnesses in the Court Hall are giving their testimonies armed. On April 24 at the Court Hearing of Badri Zarandia and others Case the deputy head of investigation office of Zugdidi police Mr. Roman Gogenia and junior investigator Mr. Dato Kvitatiani were called as witnesses. In accordance to the testimonies of the defendants, these two were participating in the physical and psychological abuse of the defendants in the process of preliminary investigation.

When the witness Kvitatiani was giving his testimonies, the defendant Zviad Sherozia declared that the witness was armed and was keeping his hand on the holster, thus again exerting psychological pressure on the defendants. D. Kvitatiani did not deny this fact, while the chairman of the Court Board Mr. J. Leonidze declared, that Mr. Kvitatiani is the officer of investigation office and has the right to wear weapon on the whole territory of the Republic. The chairman took the responsibility since he had not warned the witnesses about inadmissibility of appearing in the Court Hall armed. Then the judge continued to receive testimonies from the armed witness, and when the witness was leaving the hall he asked him to take care that another witness Mr. R. Gogenia would give his weapon to Kvitatiani before entering the hall.

The testimonies of the witnesses turned out to be contradictory: D. Kvitatiani insisted that when the suspects were taken to the place of crime he was not present there since he was studying at post-graduate training courses. In contrast to this statement Mr. D. Gogenia described the car by which arrived the junior inspector D. Kvitatiani, where he was standing and what functions he was fulfilling. This made the testimonies of the both witnesses doubtful, and to save the situation D. Gogenia provoked a conflict - he complained to the judge that some defendant was calling him the names. the judge immediately ceased the Court Session, notwithstanding the fact that the audience attending the session did not hear any indecent words.

*The report was prepared by S. Guramishvili*

გაზეთის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერია 0441
იბეჭდება ს/ს კვალში

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia